როგორ გავიცნოთ მეხუთეკლასელები?

ავტორი მაია მენაბდე

მათი სურვილებისა და უნარების შეცნობა- დიაგნოსტირება

ისე მოხდა, რომ ჩემი ჩვიდმეტწლიანი პედაგოგიური გამოცდილების მანძილზე სულ ორჯერ აღმოვჩნდი მეხუთეკლასელებთან: მასწავლებლობის პირველივე წლებში და ბოლოს 6 წლის წინ. ბავშვები გაიზარდნენ და მეც ნელ-ნელა გადავეჩვიე პატარებთან ურთიერთობას. ახლა თავიდან უნდა გავიხსენო. ადვილი არაა და ვემზადები. რასაც აქ ვწერ, ჩემი ერთგვარი სამოქმედო გეგმაა და თქვენც გიზიარებთ.

ეს დღეებია უწყვეტი, გულისგამაწვრილებელი ზუზუნი მაქვს თავში: ვინ არიან ისინი, ვინც გაფართოებული და ცოტა შეშინებული თვალებით მიყურებენ პირველი შესვლისას? (წარმოვიდგენ) რას ელიან ჩემგან? თავად რისი თქმა და გაზიარება სურთ? მე როგორ და რამდენს შევძლებ? ამ დაძაბულობის მოხსნის ერთადერთი გზა ვიცი: კეთილგანწყობის, ღიმილის, სწავლისა და თამაშის კომბინაცია. ვეცდები, გამოვიყენო.

ჩემი მიზანია:

ა) გავიგო, რა ჰქვია და რაიმე ნიშნით დავიმახსოვრო თითოეული;

ბ) დავინახო, აკვირდებიან თუ არა საკუთარ თავებს, აფასებენ თუ არა თავიანთ შესაძლებლობებს რეალურად;

გ) რა სურთ, რას ნატრობენ სწავლასთან, სკოლასთან დაკავშირებით, რომ როგორმე გავითვალისწინო.

დ) შევამოწმო მათი უნარები: თხრობა, წერა, ლექსიკური მარაგი.

პირველი ეტაპი, რა თქმა უნდა, გაცნობა იქნება. ამისთვის შევქმენი გაცნობის ბარათი, რომელიც ერთგვარი თვითშეფასებაცაა. ბარათებს ამოვბეჭდავ და თითოეულ ბავშვს დავურიგებ.

გაცნობის ბარათი

სახელი:_____

მეტსახელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) : _____

გვარი: _____

მიახატე ადამიანის ფიგურას ისეთი რამ, რაც შენი დამახასიათებელია, რომელიც ერთგვარი მინიშნება იქნება შენს ამოსაცნობად. მაგალითად:

- ხუჭუჭა ან სულ აჩეჩილი თმები;
- ძალიან დიდი ან პირიქით, წვრილი თვალები;
- ქუდი ან თმისსამაგრი, რომელსაც არასოდეს იშორებ;
- ხალი სახეზე ან ფოსოები ლოყაზე;
- რაიმე ამოჩემებული ჩასაცმელი;
- და ა. შ.



ეს ბარათი მარტივი შესავსებია, მაგრამ მოითხოვს საკუთარ თავზე დაკვირვებას. საინტერესოა, რას ჩათვლის მოსწავლე თავის მახასიათებლად, რის დახატვას არჩევს. ასევე მნიშვნელოვანია, რომელ თვისებებს აღნიშნავს, დადებითს თუ უარყოფითს- ამით ძალიან კარგად გამოჩნდება, როგორია მისი თვითშეფასება. მოსწავლეების პარალელურად მეც გავაკეთებ იმავეს დაფაზე. მოსწავლეები შეავსებენ ბარათებს, რამდენიმეს პრეზენტაციას მოვასწრებთ გაკვეთილზე, დანარჩენს მოვაგროვებ, რათა კარგად გადავათვალიერო და ვეცადო, თითოეული ბავშვის მახასიათებელი დავიმახსოვრო. ჩემს შთაბეჭდილებებს მოსწავლეებს მეორე დღეს გავაცნობ. შესაძლებელია, ეს ერთგვარი ,,ავტოპორტრეტები“ გავაკრა კედელზე და ვუთხრა ბავშვებს, რომ რასაც აღმოაჩენენ საკუთარ თავში, მიაწერონ ან მიახატონ ხოლმე და ვნახოთ, წლის ბოლოს როგორ პორტრეტებს მივიღებთ. ამით მოსწავლეები მიეჩვევიან საკუთარ თავზე დაკვირვებას, რაც, ჩემი აზრით, უმნიშვნელოვანესი უნარია.

თუ მოვასწრებ, ამავე გაკვეთილზე გავაცნობ ბლიცინტერვიუს, ავუხსნი მის არსს, შევსების წესს და გავატან საშინაო დავალებად. ასეთი ტიპის დავალებების შესრულება ბავშვებს არ ეზარებათ ხოლმე, ბევრ დროსა და ფაქტობრივ ცოდნას არ მოითხოვს, ისევ საკუთარ თავზე წერენ. იმასაც ვეტყვი, რომ შემდეგ გაკვეთილზე მე მათთან ერთად ვუპასუხებ იმავე შეკითხვებს. მსგავსი ბლიცინტერვიუები გამიკეთებია უფროსკლასელებთან ლიტერატურულ ბანაკებში და სწავლის ბოლო დღეებში – როგორც სწავლა-სწავლების პროცესის თვითშეფასება და ნამდვილად ვიცი, ეხალისებათ. ვინც ვერ ან არ შეასრულებს სახლში, შეგვიძლია იქვე, გაკვეთილზე, ზეპირადაც გავაკეთებინოთ.

წერილობითი ბლიცინტერვიუ საკუთარ თავთან

უპასუხე მოკლედ, კონკრეტულად და გასაგებად.

სახელი _____

გვარი _____

ჩემი დაბადების დღე _____

საყვარელი საქმიანობა _____

სიტყვა ან ფრაზა, რომელსაც ხშირად ვიმეორებ _____

საყვარელი ფილმი და წიგნი _____

ვბრაზდები, როცა _____

ბედნიერი ვარ მაშინ, როცა _____

მეგობრად ვთვლი იმას, ვინც _____

არ მიყვარს, როცა _____

სიამოვნებით ვერთვები გაკვეთილში, თუ _____

ყურადღებით ვუსმენ მასწავლებელს, რომელსაც _____

სკოლა რომ არ იყოს, _____

როცა სახლში ვარ, _____

ჩემი ოჯახი ჩემთვის _____

ნატვრისთვალი რომ მქონდეს, _____

შემდეგი ეტაპია თხრობა. გაბმული, ლოგიკური თხრობა მნიშვნელოვანი უნარია. კარგი იქნება, ახალგაცნობილი მოსწავლეების ამ უნარსაც დავაკვირდეთ. ამისთვის მოვიფიქრე აქტივობა „ჩვენი კლასის ამბები“.

უმჯობესია, ეს აქტივობა წყვილების ჩართულობით წარვმართო. ბავშვები ერთმანეთსაც დაეხმარებიან, უფრო თამამადაც მოუყვებიან სხვებს, თან დავაკვირდები, როგორ შეენაცვლებიან ერთმანეთს, როგორ გაინაწილებენ სათქმელს, აცლიან თუ არა ერთმანეთს აზრის დასრულებას. მივხვდები, რამდენად აქვთ განვითარებული თანამშრომლობითი უნარები და მოსმენის კულტურაც.

საინტერესო ამბის გახსენება და თხრობა მარტივი არაა, ამიტომ კარგი იქნება, თუ მაპროვოცირებლად წავუკითხავ ამონარიდს რომელიმე საბავშვო ნაწარმოების პერსონაჟის კლასის ამბებიდან. მაგალითად, თამარ გეგეშიძის წიგნიდან „სული-ჩიტი“. მთავარია, ავუხსნათ ჩვენს მოსწავლეებს, რომ ამბავი ბევრნაირი შეიძლება იყოს: სახალისო, სევდიანი, შთამბეჭდავი, დასამახსოვრებელი, გასაოცარი, დამაფიქრებელი, ჭკუის სასწავლებელი, გულისამაჩუყებელი... თავიდან გონებრივ იერიშს გამოვიყენებ. საინტერესოა, ბავშვებს როგორი ამბები წარმოუდგენიათ და მერე დავამატებ ჩემს ვერსიებსაც.

პროცესს გააადვილებს და სახალისოს გახდის მზამზარეული, ამბის დასაწყები ფრაზების შეთავაზება მოსწავლეებისთვის. ფერად ფურცლებზე გადატანილ ფრაზებს მოვათავსებ პატარა სკივრში, ლამაზ ქილაში ან ტომსიკაში.

ეს ფრაზებია:

ეს ამბავი სასაცილო არაა, მაგრამ...

ამბავი, რომელიც უნდა მოგიყვეთ, დასამახსოვრებელი იყო იმით, რომ....

იმ დღეს გაკვეთილები ჩვეულებრივ ტარდებოდა, მაგრამ მოულოდნელად...

ამ ამბავს რომ ვყვები, ცოტა ვსევდიანდები, რადგან...

ერთ დღესაც დაგვიანებით შემოვაღე საკლასო ოთახის კარი და...

ეს ამბავი ერთი წლის წინ მოხდა...

პირველად რომ შემოვედი ამ კლასში...

ახლა მე მოგიყვებით ერთ ჭკუისსასწავლებელ ამბავს, რომელიც ჩვენს კლასს უკავშირდება...

სახალისო ამბებს კურიოზს ეძახიან. ჰოდა, მე მოგიყვებით ახლა კურიოზს ... და ა.შ.

შესაძლოა, წყვილმა ამოიღოს ორი ფრაზა და მერე აირჩიოს, რომელიც უფრო მოეწონება. აუცილებლად უნდა მივცეთ მოსაფიქრებლად 5 წუთი მაინც. მათ ევალებათ, გაიხსენონ ამბავი, რომელსაც ისინი შენაცვლებით მოჰყვებიან.

ახალ კლასში უმნიშვნელოვანესია დიაგნოსტირება: რა უნარებს ფლობენ ბავშვები? რამდენად აქვთ გააზრებული საგნობრივი ცნებები? ეფექტიანი მუშაობისთვის აუცილებელია, დავადგინოთ, რა მიმართულებით სჭირდებათ მოსწავლეებს დახმარება. დიაგნოსტირებისთვის ბევრნაირი დავალება გამოდგება, მთავარია, გავითვალისწინო:

დავალების პირობა ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ მოსწავლემ წინარე ცოდნის კომპლექსურად გამოყენებით შექმნას პროდუქტი, რომელშიც ყველა საგნობრივი სამიზნე ცნება გააქტიურდება;

უნდა ეფუძნებოდეს ერთ კონკრეტულ საკითხს.

უნდა წარმოჩნდეს საგნის კავშირი რეალურ ცხოვრებასთან.

ერთ-ერთი ასეთი დავალება შეიძლება ავაგო ნახატებზე:

აირჩიე ერთი ან რამდენიმე ნახატი და მასზე/ მათზე დაყრდნობით შექმენი ამბავი, რომლის გმირი თავად იქნები.

ნამუშევარში:

ნახატის/ ნახატების გამოყენებით ააგე ამბავი, რომლის მთავარი გმირი იქნები შენ და რომელსაც ექნება დასაწყისი, ძირითადი ნაწილი და დასასრული; (ტექსტი; სიტყვა, წინადადება, ტექსტი);

ამბის თხრობისას აღწერე ნახატზე ასახული გარემო, წარმოაჩინე განწყობა, ემოციები, რომლებსაც ეს ნახატი აღძრავს(ტექსტი; სიტყვა, წინადადება, ტექსტი);

დაიცავი მართლწერის წესები; ეცადე, მართებულად დასვა სასვენი ნიშნები(გრამატიკა).

შენიშვნა: ფრჩხილებში მიწერილი სამიზნე ცნებები მხოლოდ მასწავლებლისთვისაა, ბავშვებს როცა მივცემთ ამ პირობას, ფრჩხილებში დაწერილი ინფორმაცია უნდა წავშალოთ.



დიაგნოსტირებისას აუცილებელი ეტაპია ნამუშევრების ანალიზი. ამისთვის ქვემოთ მოცემულ ცხრილს გამოვიყენებ, დავაკვირდები მოსწავლეთა ნაშრომებს ცნებების მიხედვით. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ დიაგნოსტირებისას არ არის აუცილებელი, ყველა მოსწავლის ნამუშევარი ამ ფორმით შემოწმდეს. შემიძლია, ავიღო ყოველი მესამე ან ყოველი მეხუთე მოსწავლის ნაწერი შემთხვევითობის პრინციპით და მხოლოდ ისინი გავასწორო ასე, რათა კლასის საერთო სურათი დავინახო.

სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ რომელ ქვესაკითხებს ახსენებს/იყენებს მოსწავლე	შეაფასეთ, რამდენად ღრმადა აქვს მოსწავლეს გააზრებული სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული ქვესაკითხები:	ახსენით, რით არის განპირობებული მოსწავლის შეცდომები ქვესაკითხებთან მიმართებით (მაგალითად, რაიმეს შეცდომით ცოდნით)
I სამიზნე ცნება – ტექსტი ქვესაკითხები: · მოგონილი ამბის თემა, დედააზრი; · მოსწავლე, როგორც ავტორი, მთხრობელი;		

II სამიზნე ცნება – სიტყვა, ტექსტი, წინადადება ქვესაკითხები: · მოგონილი ამბის სამნაწილიანობა (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული); · ნახატზე ასახული გარემოსა და მთხრობელში გამოწვეული ემოციების აღწერა		
III სამიზნე ცნება- გრამატიკა ქვესაკითხები: · შესწავლილი სასვენი ნიშნები; · სახელის ბრუნვის ფორმებთან დაკავშირებული მართლწერა: · ზმნის პირის ნიშნებთან დაკავშირებული მართლწერა:		

დაბოლოს, ლექსიკაზე მუშაობაც.

აქტივობა სინონიმები და ანტონიმები. ამ აქტივობამდე მოსწავლეებს ავუხსნი ან გავახსენებ, რა არის სინონიმი ან ანტონიმი. თავდაპირველად დაფაზე ჩამოვწერ სიტყვებს, რომლებისთვის სინონიმებისა თუ ანტონიმის მოფიქრება მარტივი იქნება და მეხუთეკლასელებს ნამდვილად ეცოდინებათ. დათქმა ასეთია: მოსწავლეებმა ტაში უნდა დაუკრან მხოლოდ მაშინ, როცა მე კონკრეტული სიტყვის სინონიმს დავასახელებ, ანტონიმზე- არა. დავადებ ხელს დაფაზე ჩამოწერილ სიტყვათაგან ერთ-ერთს და სწრაფად ვასახელებ სინონიმს ან ანტონიმს. მოსწავლეები, რომლებიც შეცდომით დაუკრავენ ტაშს, თამაშს ტოვებენ. ეს თამაში-აქტივობა ძალიან სახალისოა, ფაქტობრივ ცოდნასაც ამოწმებს და ყურადღების კონცენტრაციასაც ავარჯიშებს პატარებში.

ამის შემდეგ დაფაზე ჩამოვწერ სიტყვებს, რომლებსაც რამდენიმე სინონიმი აქვს, მაგალითად: ლამაზი, მამაცი, განთიადი, საუბარი (შესაძლოა, გავიმეორო ის სიტყვებიც, რომლებიც წინა აქტივობაში გამოვიყენე), მოსწავლეები ისევ წყვილებში მუშაობენ. მითითებულ დროში მათ უნდა მოიფიქრონ რაც შეიძლება მეტი სინონიმი მოცემულ სიტყვებზე და შეადგინონ წინადადებები მოფიქრებული სინონიმების გამოყენებით. რომელი წყვილიც უფრო მეტ სინონიმსა და წინადადებას მოიფიქრებს, ის იქნება გამარჯვებული. შეიძლება გამოვავლინოთ

ყველაზე ყოჩაღ წყვილთა სამეული ან ხუთეული, დამოკიდებულია კლასში მოსწავლეების რაოდენობაზე.

საშინაო დავალებად შემიძლია მივცე რამდენიმე ფრაზეოლოგიზმი, რომელთა მნიშვნელობაზე გაკვეთილზევე ვისაუბრებთ. ესენია: გულის გადაშლა, აბუჩად აგდება, ყურის დაგდება, ალმაცერად ყურება. მოსწავლეებმა უნდა ააგონ ნებისმიერი ტიპის მცირე ტექსტი, რომელშიც ამ ფრაზეოლოგიზმებს გამოიყენებენ. რა თქმა უნდა, რამდენის გამოყენებასაც შეძლებენ. მთავარია, კონტექსტში სწორად ჩასვან.

ვფიქრობ, ამ თავისუფალი ტექსტების წაკითხვაც საინტერესო იქნება და ასე დასრულდება ახალი მოსწავლეების გასაცნობ- შესაცნობი გაკვეთილები, დაიხატება იმ სურათის კონტურები, რომლის გაფერადება მე უნდა გავაგრძელო და უკვე მეცოდინება, რომელი ფერით, საიდან და როგორ. დანარჩენს საკლასო ურთიერთობა გვიკარნახებს.